საქართველოს კანონი

„საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში

ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №26, 12.07.2007,) სარეგისტრაციო კოდი: 470.000.000.05.001.002.920 შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. კანონის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

პ) სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი – იმ ინფექციური დაავადებების სია, რომელთათვისაც საჭიროა პროფილაქტიკური აცრა, და პროფილაქტიკური აცრების ჩატარების ასაკობრივი მაჩვენებლები, ვადები და წესები;

2. კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტს დაემატოს „ბ[1]“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ1) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია შვილს/მეურვეობის/მზრუნველობის ქვეშ მყოფ პირს ჩაუტაროს სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული სავალდებულო პროფილაქტიკური აცრები.

3) კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გ) სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული აცრებისა და ეპიდჩვენებით განპირობებული აცრების ზედამხედველობას;

4) კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი;

მუხლი 2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროებმა 6 თვის ვადაში განახორციელონ ღონისძიებები სათანადო კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ამ კანონთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 3. მუხლი

1. ეს კანონი გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**